სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 770

დამატების № 135

კვირა, 9 დეკემბერი 1912 წ.



მსაჯიობი ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი.
ბომბავალ იუბილეის გამო.

მწუხარე კლდე

შავი ზღვის პირად ობოლ-ეული
სდგას კლდე მაღალი, ჩუმი, მწუხარე...
მის ქვეშ ბობოქრობს ქაფ-მორეული
ტალღა მძვინვარე, ტალღა მქუხარე!..
წინ გადახრილი, უხმოდ მკვნესავი,
კლდე არ აშორებს მაცდურ ზღვას თვალებს;
რას ეძებს მაში, სევდის მკვესავი,
რადა სწუხს იგი და რად ვალალებს?!..

. . . .

შეყვარებულნი ზღვის პირად დგანან...
შუქურ ვარსკვლავებს ტურფანი ჰგვანან!
მოხდენილები, მშვენიერები,
თავისუფლები, ბედნიერები,
დიადსა გრძნობას დაჰმონებიან:
წინაშე მზისა,
ცისა და ღვთისა,
ერთმანეთს გულში ჩაჰკონებიან!..
ზღვა კი წყნარია... მის ზედაპირი
თვალის წარმტაცად, ვით სარკე—ბრწყინავს,
რულს შეუპყვრია ცელქი ზეფირი,
დასიცხულ ტალღას ნაგრადა სძინავს...
ზღვა კი წყნარია... ო, ეს სიწყნარე,
ნუ მოსტყუვდებით, არ არის მკვდარი:
მასში იფარვის ვნება მძვინვარე,
ვნება უსაზღვრო და საშიშარი!..

. . . .

ჩემო ლომო, როგორ ცხელა!
სანთელივით მზისგან ვდნები...
ჩავალ აქვე ზღვაში ნელა,
ვიბანავებ—გავგრილდები!
შენც კი გირჩევ—ამო-გრილში,
აგერ იმ ხის მყუდრო ჩრდილში
დაისვენო, გენაცვალე!
დიდხანს ცდა არ მოგიხდება:
კვლავ კავჩნდები შენთან მალე!
— კარგი, მგრამ... ჩემო ყველავ,
ნაპირს შორს ნუ გასცილდები!...—
— სულის სწორო, ნუ, ნუ ჰღელავ,
ბავშვი არ ვარ, გავფრთხილდები!..
და შეევედრა რაინდი ღმერთსა
სატრფოს ჰყოლოდა მცველად და მხსნელად.
გადაეხვივნენ კვლავ ერთმანეთსა
და გადაჰკოცნეს... უკანასკნელად!..

. . . .

ბუმბულივით მსუბუქ-ნაზი,
თმა გაშლილი და ნარნარი,
სცურავს ტურფა და ლამაზი
გედივითა თეთრ-მწყაზარი!..
ახ, რა გრილა!.. ცელქობს, ლაღობს,
და შეჰხარის არე მარეს,
მშვენიერის მკირდით აპობს
ტალღას ძილში მომღიმარეს.
იცქერება იგი ხან ძირს,
სჰვრეტს წყლის ლაჟვარდს გამსჭვირვალეს,
ხან იბრუნებს ცისაკენ პირს
და შესცინის მზეს ბრწყინვალეს!
საოცნებოს, თეთრსა სხეულს
თმა გიშერი ოდნავ ჰფარავს...



ამერიკის შეერთებული შტატების
ახალი პრეზიდენტი
ვუდუვრ ვილსონი.

თავს ბრუ ესხმის მზესა ძლეულს!
ლალის ბაგეთ კოცნას ჰპარავს!..
ნაპირზედ კი... იქ, ხის ძირში,
ჭაბუკს ჭხიბლავს გრილი ჩრდილი,
გართულს ამო და ტკბილს ფიქრში
მიჰპარვია მუხთლად ძილი!..

. . . .

ზღვა ხედავს ქალსა,
ვნებას აქორებს!..
ზღვა ხარბსა თვალსა
ქალს არ აშორებს!..
რომ მოაწონოს მშვენიერს თავი
როგორ თვალთმაქცობს განზრახვით ავი?!..
ხან ამწვანებულ ჯეჯილივითა
ზურმუხტის ფერად წაიბიბინებს,
ხან გაფითრდება ის ვერცხლივითა,
და იაგუნდად ხან გაიცინებს!..
ხან ოქრომკედით ნაკერ ძოწეულს
გაშლის ფართეთა და წამოისხამს,
ხან ალმასცვრიან ჯიღასა გრძნეულს
ქარვისფერ თმიან თავზე დაიდგამს!..
ხან სადაფისა უცხოს, მრავალს ფერს
აალივლივებს და ააჭრელებს,
და ხან დასწვდება თავის მყუდრო ფსკერს—
იქიდამ ისვრის ფირუზის ჭევლებს!..
რა ლამაზია!.. მის თილისმისა
ძალით ტყვევნილი ქალიც მიცურავს...
შორს დარჩა უკან ნაპირი ზღვისა,
ცის კიდეს შავი ღრუბელი ჰბურავს...

. . . .

ჰე, რაინდო, გაახილე
თვალი! მალე! ეჰ, რას ელი?
შენი სატრფო გააფრთხილე,
მოაშორე განსაცდელი!
ზღვამ დაუგო ლამაზს მახე!
შეხე, როგორ წინ იტყუებს!..
ახ, ისწრაფე გადასძახე—
ნუ ენდობა—მოატყუებს!..
აგერ ქარიც ამოვარდა,
ეცა ზღვასა, არე-მარეს,
გადაჰფარა ღრუბლის ფარდა
ცისა ლაჟვარდს, მზეს ელვარეს!
ზღვამ უმტყუნა!.. ჰგრძნობს გასაჭირს!..
აღარ შესწევს ტურფას ძალა!
გამობრუნდა, მაგრამ ნაპირს
მიაღწევს კი?!.. დაიღალა!!
ეჰ, რაინდო, მაგრად გძინავს,
ძილში ტკბილად იღიმები!..
ზღვა კი ჰღელავს, ზღვა კი ბდღვინავს,
ცასა სწვდება ტალღის მთები!..
ტურფამ მწარედ დაიკვნესა:
მოუდუნდა ხელი, ფეხი...
ცამა ელვა დააკვესა,
სტყორცნა მიწას მკვეთრი მეხი!..
უცბად ტალღა ქალსა ბეჩავს
დაეწია სწრაფის სრბოლით,
გადაევლო მშვენიერს თავს,
გადეფარა ვნების თრთოლვით!..

. . . .

ჭექის, კივილის ხმა საშინელი
ყურს ჩასწვდა მძინარ ჯაბუკსა ლომ-გმირს...
ზე წამოიჭრა იგი, ვით ხელი,
და მიაშურა სწრაფად ზღვის ნაპირს!..
ეძებს... ეძახის თავის სანატრელს:
„სადა ხარ, ტურფავ? სად დამემალე?..
რატომ არ ვხედავ სახეს საყვარელს?
ნუ მეხუმრები—გამოჩნდი მალე!
ხომ ჰხედავ-შიშმა მუხლი მომკვეთა!
სული მეხუთვის, თქმა მიძნელდება...
ახ, წინაგრძნობა, სასოწარკვეთა
ცნობასა მხდიან!.. თვალთ მიბნელდება!..“
დგას... ელის პასუხს... ტალღებსა დასცქერს...
უცბად მის გულში ბოღმა აზღვავდა:
მიხვდა რაინდი, მიხვდა ყველაფერს
და მწარე კვნესით... იქვე გაქვავდა!..

. . . .

განვლო დრომ... სადაც აყვავებული
ზღვის კიდე შვენის კეკლუც ნარნარი,
სადაცა იდგა გაქვავებული
რაინდი—ეხლა დგას კლდე მაგარი!
ყოველ წლის თავზედ, პირბადრი მთვარე
ცისა შუაგულ როს გამოჩნდება,
როს ზღვა მრისხანე, მუდამ მღელვარე,
დაშოშმინდება და მიყუჩდება—
კლდისაკენ სწრაფად მოცურავს ქალი
წყლის სასახლიდამ გამოქცეული...
ეძახის თავის სატრფოს ფერმკრთალი,
ეძახის ჯაბუკს, ხვეწნად ქცეული!..
და კლდე ირხევა! დნება ირღვევა!..
რაინდს სიცოცხლის ფერი გადაჰკრავს!
სატრფოს სულისას გადაეხვევა
და გულში მაგრად, მაგრად ჩაიკრავს!..
და დიდხანს, დიდხანს ღამის სიწყნარეს
კოცნის, ალერსის, კვნესის ხმა აღღვევს...
თვალზე ადგება ცრემლი თვით მთვარეს,
ნათელ მანდილში მიჯნურებს ახვევს!...
მაგრამ იღვიძებს ზღვა და ღელდება!
ტალღა მრისხანე კვლავ ქალს იპარავს!
მთვარე ფერს ჰკარგავს... ღამე ბნელდება...
ქვის სამოსელი კვლავ რაინდს ჰფარავს!..

. . . .

შავი ზღვის პირად ობოლ-ეული
სდგას კლდე მაღალი, ჩუმი, მწუხარე...
მის ქვეშ ბობოქრობს ქაფმორეული
ტალღა მძვინვარე, ტალღა მქუხარე!..

ბათომი. ოქტომბერი. **კ. მაყაშვილი.**

ქალის პატიოსნება

(ეტიუდი როსნისა).

მარკიზ დე—ბარი არ იღებდა მონაწილეობას ჩვენს საერთო მხიარულ ლაპარაკში. ხმა ამოუღებლივ ჩაფიქრებული იჯდა თავისთვის და ყურს გვიგდებდა. ბოლოს მაინც ჩაერია ლაპარაკში, მაგრამ აშკარად ეტყობოდა რომ, რასაც ის გვიამბობდა, განვლილი მწუხარების მწარე მოგონება იყო.

— ქალი, დაიწყო მან ნაღვლიანის კილოთი, ყოველთვის იცავს თავის სიყვარულს ისე, როგორც ჩვენ, მამაკაცები ვიცავთ ჩვენს თავმოყვარეობას და პატიოსნებას.

იცავს, და ამ დაცვის დროს, ხანდისხან დიდ გმირობასაც იჩენს. ჩვენთვის ქალის სულიერი ძალა უმეტესად გაუგებარი და მოუწდომელი რჩება.

ჩემს ახალგაზდობაში, განაგრძო მარკიზმა, ჩემს თვალწინ მოხდა ერთი ფრიად სამწუხარო შემთხვევა, რომელიც სამუდამოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში. მას შემდეგ სრულიად ვამოვიცვალე შეხედულება ქალებზე და იმათ სიყვარულზე... მარკიზმა თითქოს ძალა მოიკრიბა და გულდასმით განაგრძო დაწყებული ამბავი.

ბიძაჩემმა, გრაფმა დე—ბარიმ, წამიყვანა თავის სასახლეში როცა მე ჯერ კიდევ ახალგაზდა ვიყავი. დიდი ხანი არ გასულიყო, რაც მას პირველი ცოლი მოუკვდა, რომლისგანაც შვილი არ დარჩენია. ბიძაჩემი ძლიერ მდიდარი იყო. ჩემი მშობლების სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, რადგანაც ისინი დარწმუნებული იყვნენ რომ ბიძა-ჩემის აუარებელი სიმდიდრის მემკვიდრე მე გავხდებოდი.

სასახლეში ჩემი ცხოვრება მშვენივრად მოეწყო და მეც კმაყოფილი ვიყავი ბედისა.

თუმცა 18 წლისა ვიყავი, მაგრამ რადგანაც ბიძაჩემს ძლიერ ვუყვარდი და დიდ პატივსა მცემდა, არაფერს მიმალავდა და ყოველივე მისთვის მნიშვნელოვან საკითხის გადაწყვეტის დროს მკითხავდა რჩევას, როგორც გამოცდილ ადამიანს.—მე პირველმა გავიგე რომ ბიძაჩემს შეუყვარდა მშვენიერი ქაკელინა დე—ტეხელი.—

მეც გატაცებით მომწონდა ეს მშვენიერი არსება და დიდს პატივს ვსცემდი.

ბევრი სულელადაც მთვლიდა, მამხილებდნენ რომ თავის მტერი ვიყავი და ჩემის საქციელით თავს ვღუპავდი, რადგანაც რა კი ბიძაჩემი ცოლს შეირთავდა, რა თქმა უნდა, მე აღარ გავხდებოდი იმის სიმდიდრის მემკვიდრე. გულცივად ვისმენდი ამეებს და არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი იმათ ლაპარაკს. ჩემის აზრით, ჩემთვის დაუფასებელ—სიმდიდრეს შეადგენდა ბიძაჩემის სიყვარული და მისი კეთილი განწყობილება ჩემდამი.

ბალკანეთის ომის გამო



ბრძოლა ჩატალჯის გარშემო. მარცხინ ბულგარეთის ჯარი ოთხის გზით მიემართება ჩატალჯის სიმაგრეებისაკენ. სამხრეთით 1 ლაშქარი, შუაგულში უმთავრესი ჯარი ჩატალჯისაკენ მიმავალი. ჩრდილოეთით—მესამე ლაშქარი, დერკოსის ტბის ორსავ ნაპირას. მარჯვნივ ოსმალეთის სიმაგრეთა სამი წყება.

ბიძაჩემისა და ჟაკელინას დაქორწინების შემდეგ პირველმა წელიწადმა შეუმჩნევლად გაიარა. ცოლ-ქმარნი ბედნიერად გრძნობდნენ თავს.

ახალგაზდა ქალმა ბევრი სიხარული და სიცოცხლე შემოიტანა ჩვენს მიყრუებულ სასახლეში...

გრაფს თავდავიწყებით უყვარდა თავისი მეუღლე, რომელიც ყველაფერში თანაუგრძნობდა მას. მაგრამ ეს გარემოება რაღაც უეცრივ შეიცვალა. ბიძაჩემი თითქოს გამოიცვალაო: დარდიანობა დაეტყო და წინანდელი სიმხიარულე სრულიად დაჰკარგა. ჟაკელინაც ხშირად მოიწყენდა ხოლმე. ბოლოს დავრწმუნდი, რომ ოჯახურ ცხოვრებაში მეტის-მეტად დაახლოვება ოჯახის წევრებისა ერთმანეთთან უსიამოვნების მომასწავებელია. როცა ბიძაჩემიც მიჰხვდა ამას, გადასწყვიტა, რომ ცოლ-ქმართ ცალ-ცალკე საძილო ოთახი ჰქონდათ და მუდამ ერთად არ ყოფილიყვნენ. ამ აზრით, მან მაშინვე ბინა სასახლის მეორე ნაწილში დაიდო და მას შემდეგ ცოლ-ქმარნი დღეში მხოლოდ რამდენჯერმე ნახულობდნენ ერთმანეთს. ოჯახში ისევ დამყარდა საერთო კეთილ-განწყობილება და სიყვარული.

ერთ ღამეს, როცა ტკბილად მეძინა, ვიგრძენ, რომ ვიღაც მაღვიძებს. ბიძაჩემი იყო. ნამძინარევმა თვალები გამოვაჭყიტე და შტერივით შევსცქეროდი.

ხატის წინ მბჟუტავი სანთელი მკრთალად ანათებდა ოთახს, მაგრამ მაინც შევამჩნიე, რომ ბიძაჩემი მეტის-მეტად აღელვებული იყო. მთელი სხეულით ცახცახებდა და რაღაცას გაუგებრად ბუტბუტებდა. ბოლოს ათრთოლებულის ხმით მითხრა:

— პიერ, ადექ ჩქარა, შენი დახმარება მეჭირვება!

წამოვხტი ლოგინიდან და სიტყვის უთქმელად საჩქაროდ ვიწყე ჩაცმა.

— ჟაკელინა მღალატობს!—წამოიძახა ბიძაჩემმა,—ჯერ მეგონა, ვსცდებოდი, მაგრამ ეხლა სრულიად დარწმუნებული ვარ-

ამ სიტყვებმა გამაკვირვა, მაგრამ მაშინვე გამოვერკვიე, განცვიფრდი და ვუთხარ ბიძაჩემს.

— ეს შეუძლებელია, გრაფ, თქვენს მეუღლეს გაგიჟებით უყვარხართ!

— ის მე მხოლოდ თვალებს მიხვევდა თვისი მლიქვნელურის ალერსით—აღელვებულით წამოიძახა ბიძაჩემმა.—ქალს,—განაგრძო მან,—მხოლოდ ის მიენდობა, ვისაც თავის დაღუპვა ჰსურს; ეხლა შენის საკუთარი თვალით დაინახავ ყოველივეს და დარწმუნდები, რომ მართალი ვარ... ფერდინანდ მთელი კვირაა რაც თავს ევლება და დღეს მიაღწია კიდეც საწადელს...

ამ სიტყვებით გრაფმა გამიყოლა და ორთავენი ჩუმად მივედით ჟაკელინას საწოლ ოთახის ფანჯარასთან. გრაფი ფრთხილად ათვალიერებდა იქაურობას. მთვარე მკრთალად ჰფენდა შუქს სასახლის მიწყნარებულ არე მარეს.

შევამჩნიეთ, რომ სახლიდან გამოვიდა რაღაც—კაცის მსგავსი—აჩრდილი და ფეხაკრეფით ეზოს კარებისაკენ წავიდა.

ამის დანახვაზე ციებამ ამიტანა.

— აი, ხედავ,—ჩუმის, მაგრამ აღელვებულის ხმით მითხრა გრაფმა,—ის ფერდინანდ დე—მონტრე არის. ჟაკელინას ოთახიდან გამოვიდა, თან აქვს ეზოს კარების გასაღები დ აი, როგორც ჰხედავ, ეხლა თავის სახლისაკენ მიეშურება.

ამ სიტყვებით მომკიდა ხელი და ორთავენი ანთებულის სანთლით შევედით ჟაკელინას ოთახში. ჩვენმა უდროოდ მივლამ შეაშინა გრაფის მეუღლე. არასოდეს არ დამავიწყდება ის ღამე... სულ თვალწინ მიდგას ის ანგელოზის მგზავსი ქალი, რომელიც ისე თვალწარმტაცი იყო თოვლივით თეთრ ღამის ტანისამოსში. მშვენიერი გაშლილი თმა გადაჰყროდა ბეჭებზე და ეს უფრო აორკეცებდა მის სილამაზეს. გამოურკვეველ მდგომარეობაში მყოფი, ის შეშინებული შემოგვყურებდა ჩვენ. ბიძაჩემმა მიანათა სახეზე სანთელი, ჩახედა თვალებში და დემონიურად გადაიხარხარა.

— შეხედეთ, რა გველური გამომეტყველება აქვს! წამოიძახა ბიძაჩემმა.

ჟაკელინამ არ იცოდა რაში იყო საქმე და შეშინებულის ხმით გვკითხა:

— რა იყო? რა მოხდა? ავად ხომ არავინ არის?

— ავად კი არა, მოიწამლა! შეჰყვირა გრაფმა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა უბედურებაა!—გულსაკლავ ხმით წამოიძახა ჟაკელინამ, რომელმაც გრაფის სიტყვები სინამდვილედ მიიღო და ეგონა რომ სასახლეში თავი მოიწამლა ვინმემ.

მაგრამ გამოარკვია გრაფის სიტყვებმა, რომელმაც მოთმინება დაჰკარგა და სასოწარკვეთილების კილოთი შეჰყვირა:

— მოიწამლა შენით, შე გარყვნილო. ფლიდო ქმნილებავ საზიზღარო მოღალატევ!

მშვენიერი სახე გრაფის მეუღლისა უცებ გაფითრდა და ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ ყველა ადამიანს გულში სიბრალულს აღძრავდა. გრაფიც მეტის-მეტად შესწუხდა იმის მაცქერალი და უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ იგი კვლავ შეიპყრო იჭვნეულობის გრძნობამ დ ისევ განგრძო:

— საზიზღარო! ჰბედავ კიდეც დ თავის მართლებას აპირებ! ოჰ, სადამდის შეუძლიან მიაღწიოს დედაკაცის უსინიდისობას?!

ჟაკელინა გრძნობით სავსე ცისფერ თვალებით მისჩერებოდა ქმარს და ხმას არ იღებდა.

როცა გრაფმა დაასრულა სიტყვა, ჟაკელინა მშვიდად შეეკითხა!

— მერე სრულიად დარწმუნებული ხარ რომ ყოველივე ბრალდება, რაც ეხლა ჩემს წინააღმდეგ სთქვი, მართალია?

გრაფი შეიპყრო ბრმა შურის ძიების ვნებამ. ის მიეცა თავ დავიწყებას და ვერავის ჰხედავდა. იგი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ფერდინანდი უეჭველად ჟაკელინას ოთახიდან გამოვიდა. გრაფის შეურაცყოფას უფრო აორკეცებდა ის გარემოება, რომ ქალი არა სთვლიდა თავს დამნაშავედ და თანაც კითხვებს აძლევდა.

— გაჰბედავ და კიდევ უარს იტყვი რომ ფერდინანდ მონტრე, ამ რამდენიმე წუთის წინ შენი ოთახიდან არ გამოსულა, რომ ის ეხლა შენი ხვევნა კოცნით დ ალერსით არ სტკბებოდა?!

ამ სიტყვებმა ჟაკელინას პატიოსნება და თავმოყვარეობა შებღალა.—

მან დაცინვის კილოთი მიჰმართა გრაფს და უთხრა:

როგორ გეკადრება, რომ მაგნაირი სულელური აზრები გაივლე გულში. გონს მოდი! კარგად დაფიქრდი, თუ რას სჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. კავსაძის მომღერალთა გუნდი.

დიხარ! შენის საქციელით ფეხქვეშ გასთელე და ტალახში ამოსვარე ქალის პატიოსნება და თავმოყვარეობა... შენ შეურაცყავ იმის უმწიკვლო სახელი... გავიწყდება რომ მე,—შენი მეუღლე, შენი მეგობარი და საყვარელი არსებმ ვარ. რაღაც გაუგებარ რამეს მეკითხები და მით შეურაცყოფას მაყენებ. თუ პატივსა მცემ და გიყვარვარ,—კიდეც უნდა გჯეროდეს ჩემი...

— სთქვი სიმართლე, თორემ ახლავ სიცოცხლეს მოგისპობ!—თავდავიწყებით შეჰყვირა შურისძიებით შეპყრობილმა გრაფმა, რომელსაც თითქოს არც კი გაეგონა ჟაკელინას სიტყვები.

ვიგრძენი, რომ ჟაკელინა არ დაუწყებდა გრაფს მტკიცებას—მართალი ვარო, არც ფიცსა და ამ გვარ რამე საშუალებას არ მიჰმართავდა, რადგანაც მისთვის, როგორც ამპარტავან და თავმოყვარე ადამიანისათვის თავის მართლება შეურაცმყოფელი საქციელი იქნებოდა.

გრაფს მხოლოდ ორი გზა დარჩენოდა: ან უნდა დაეჯერებინა ჟაკელინასთვის—ან მისთვის სიცოცხლე მოესპო.

თვით ჟაკელინას სახის გამომეტყველებაც სავსებით ჰმოწმობდა ამას.

ოჰ, რას ამბობდა იმ წამში მისი თვალები! იმ წუთში მიყვარდა იგი მთელი ჩემის არსებით და მზად ვიყავი მისთვის თავიც გამეწირნა.

— ბიძაჩემო, თქვენ ვალდებული ხართ, დაუჯეროთ!—აღელვებულის ხმით მივმართე გრაფს. მათ ორთავემ ჩემსკენ მოიხედეს, თითქოს აქამდის არც კი შეუმჩნევიათ ჩემი იქ ყოფნათ. ჟაკელინამ იგრძნო, რომ მე სავსებით მიუხვდი იმი საზრს და მზადა ვარ საჭიროების დროს მხარი დავუჭირო.

გრაფმა კი გაჯავრებით მითხრა:

— პიერ, შენ ჯერ კიღევ ახალგაზდა ხარ! ჯერ შენ არა გქონია შემთხვევა, გარყვნილ და უსინდისო ქალისათვის გეცქირა თვალებში. ეს უსინიდისო ქმნილებანი ურცხვად სტყუიან და ამ სიცრუის დროს ღიმიც კი უკრთით ტუჩებზე; გულუბრყვილოდ მოგაპყრობენ თვალებს და თავს ისე მოგაჩვენებენ, ვითომც ცამდის მართალი იყვნენ. გარწმუნებ, უკეთუ ამას სათქმელი რამ ჰქონდეს,—მაშინვე მოჰყვებოდა თავის მართლებას, მაგრამ, რადგანაც ჭკრძნობს რომ დამნაშავეა და თანაც არაფერი თავის გასამართლებელი საბუთი არ მოეპოება, ამიტომაც სდუმს...

ვატყობდი რომ გრაფი თანდათან ჰკარგავდა მოთმინებას. შევნიშნე, რევოლვერი ამოიღო, მივვარდი, ჩავებღაუჭე და ვსცდილობდი როგორმე წამერთმია.

ამ დროს ჟაკელინა წამოდგა ლოგინიდან. იგი დარწმუნდა, რომ მე ვერ შევსძლებდი იარაღის წართმევას და ამიტომ უბედურება აუცილებელი იყო.

როგორც იყო მოვახერხე და გრაფს რევოლვერი ხელიდან გავაგდებინე. ჟაკელინამ მოულოდნელად დაავლო ხელი იატაკზე დაცემულ რევოლვერს და სულის შემაშფოთებელ სიმშვიდით წარმოსთქვა:

— შემდეგ თქვენ თითონ რომ სინდისმა არ დაგსაჯოთ, მე თვითონ მოულებ ბოლოს—ჩემს თავს...

შეკივლებაც ვერ მოვასწარით, რომ რევოლვერი გავარდა და გულგაგმირული გრაფის მეუღლე უსულოდ დაეშვა...

—:—

მეორე დღეს, როცა ჟაკელინა უკვე გარდაიცვალა, გავიგეთ, რომ ფერდინანდ—დე მონტრეს უყვარდა ჟაკელინას მოახლე ქალი ჟიული, რომელსაც გრაფის მეუღლის საწოლ ოთახის გვერდით ოთახში ეძინა და ფერდინანდიც იმ უბედურ ღამეს მოახლე ქალის ოთახიდან გამოსულიყო.

ამ ამბავმა უარესად გააგიჟა ბიძაჩემი. ის თავზარ დაცემული სულ ერთსა და იმავეს მიმეორებდა:

მითხარ, რათა სდუმდა ჟაკელინა, რატომ სიმართლე არა სთქვა?

პასუხ არ ვაძლევდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ გრაფს არ შეეძლო გაეგო, თუ რას განიცდიდა ჟაკელინა იმ უბედურ ღამეს. გრაფმა სასტიკად შეურაცყო იმისი თავმოყვარეობა. თავის მართლება რომ დაეწყო ამით ის შელახავდა თავის წმინდა და ჭეშმარიტ სიყვარულს და ამიტომაც დუმილი ამჯობინა.

როგორც ჰხედავთ, ქალებისათვისაც ისეთივე ძვირფასი ყოფილა პატიოსანი სახელი და ღირსება, როგორც მამაკაცებისათვის. ამიტომ ისინიც მზად არიან სიცოცხლეც კი არ დაიშურონ პატიოსნების დასაცავად...

ვიქტორ ნინიძე.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**